ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 40

ქ. ხობი

20 დეკემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი") მისამართი: ქ. ხობი, სტალინის ქ. N12 საიდენტიფიკაციო კოდი 244690401 საბანკო რეკვიზიტები: ანგარიში 3303094, სს „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი 220101465 მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხათუნა ხორავა-სურგაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „მსოფლიო ვარსკვლავები" მისი წარმომადგენელი დირექტორი ეკატერინე ყურაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისამართი ქ. თბილისი ხიხუნის ქ 7.82, საიდენტიფიკაციო კოდი 202392053 საბანკო რეკვიზიტები: ანგარიში N GE72BG0000000204653800 სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE22 მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ეკატერინე ყურაშვილის სახით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის, ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის, მიერ მიმწოდებლისგან განათლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულის სასპორტო სკოლისათვის სპორტული ინვენტარის შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან მთლიანი ღირებულება

2. ფიშკა( (10*15=150),ბარიერი (5*80=400) შესყიდვა.

*2. ხელ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 550( ხუთასორმოცდაათი) ლარი.*

3. შესასყიდი საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხი საჭიროების შემთხვევაში სტანდარტებთან შესაბამისობა

3.1 სტანდარტებთან შესაბამისობით

4. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი

2012 წლის 19 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. უნაღდო ანგარიშსწორებით.

7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

7.1. ამ შემთხვევაში ეს მექანიზმი არ გამოიყენება

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8. 1. პირველი მხარე ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება, მეორე მხარე ვალდებულია დროულად მიაწოდოს საქონელი .

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევისას უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 *ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.*

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან - ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სამსახური

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

*ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის"*

*დირექტორი*

*ტ.ხორავა*

*შპს „მსოფლიო ვარსკვლავები"*

*დირექტორი*

*ი.ყურაშვილი*